رئاسة الشؤون الدينية
بالمسجد الحرام والمسجد النبوي

ზულ-ჰიჯჯას ათი დღის სიკეთე

ქართული | جورجي | فَضْلُ عَشْرِ ذِي الحِجَّةِ

ისლამური კონტენტის სხვადასხვა ენაზე
გავრცელების ასოციაციის სამეცნიერო
კომიტეტი

فَضْلُ عَشْرِ ذِى الحِجَّةِ

ზულ-ჰიჯჯას ათი დღის სიკეთე

اللَّجْنَةُ العِلْمِيَّةُ

بِرِئَاسَةِ الشُّؤُونِ الدِّينِيَّةِ بِالمَسْجِدِ الحَرَامِ وَالمَسْجِدِ النَّبَوِيِّ

ისლამური კონტენტის სხვადასხვა ენაზე
გავრცელების ასოციაციის სამეცნიერო
კომიტეტი

ზულ-ჰიჯჯას ათი დღის სიკეთე

შესავალი

ქება დიდება ალლაჰს, სამყაროების ღმერთს, ლოცვა და მშვიდობა სამყაროს წყალობად გამოგზავნილ მუჰამმადს, მის ოჯახს, მის ყველა მეგობარს, ვინც აიღო მისი სუნნა და ვინც გაჰყვა მის გზას განკითხვის დღემდე, ამის შემდეგ:

ეს არის მოკლე გზავნილი, რომელიც მოიცავს იმ უმთავრეს საკითხებს, რაც მორწმუნე მუსლიმს სჭირდება თავისი რწმენის, ღვთისმსახურებისა და (ადამიანებთან) ურთიერთობების საკითხებში. ის შეიკრიბა ორი წმინდა მეჩეთის მომნახველებისთვის და მომლოცველებისთვის, რათა იყვნენ ინფორმირებულნი და გააზრებულად აღიქვამდნენ თავიანთ რელიგიას. ვთხოვთ დიდმოწყალე ალლაჰს, რომ ამით სარგებელი მიანიჭოს, გახადოს ეს საქმე მტკიცე და მხოლოდ მისთვის განკუთვნილი. ნამდვილად, ის არის საუკეთესო, ვისგანაც რამეს სთხოვენ და უხვად ანიჭებს იმედის მქონეთ.

ისლამური კონტენტის სხვადასხვა ენაზე გავრცელების ასოციაციის სამეცნიერო კომიტეტი

ზულ- ჰიჯჯას ათი დღის სიკეთეები:

ზულ-ჰიჯჯას ათი დღე — მათი სიკეთე დიდებულია. უზენაესმა ალლაჰმა ეს განმარტა თავის წიგნში, და მისმა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მსვიდობა მას) დაადასტურა თავის სუნნაში. ეს არის ის დღეები, რომლებითაც ალლაჰმა დაიფიცა თავის წიგნში სიტყვებით:

﴿وَٱلۡفَجۡرِ ۝١ وَلَيَالٍ عَشۡرٖ ۝٢﴾ [الفجر: ١-٢]

(ვფიცავ განთიადს 1 და ათ ღამეს2) [ალ-ფაჯრ: 1-2], ეს დღეები არის ზულ-ჰიჯჯას ათი დღე, როგორც მასზე თქვეს: იბნ აბბასმა, იბნ ზუბაირმა, მუჯაჰიდმა, იბნ ქასირმა, იბნ ალ-ყაიიმმა და მრავალმა სხვა წინამორბედმა და მათმა მიმდევრებმა.[1]

ეს დღეებია, როცა ამ დღეებში შესრულებული საქმეები უკეთესია, ვიდრე ჯიჰადი ალლაჰის

[1] თაფსირ იბნ ქასიირ, (4/106) და ზაად ალ-მა'ად (1/56).

გზაზე იბნ აბბასის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემით: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«مَا مِنْ أَيَّامٍ العَمَلُ الصَّالِحُ فِيهِنَّ أَحَبُّ إِلَى اللهِ مِنْ هَذِهِ الْأَيَّامِ الْعَشَرِ»، قَالُوا: يَا رَسُولَ اللهِ! وَلَا الْجِهَادُ فِي سَبِيلِ اللهِ؟ فَقَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «وَلَا الْجِهَادُ فِي سَبِيلِ اللهِ، إِلَّا رَجُلٌ خَرَجَ بِنَفْسِهِ وَمَالِهِ فَلَمْ يَرْجِعْ مِنْ ذَلِكَ بِشَيْءٍ».

«არ არსებობს დღეები, როცა კეთილი საქმე ალლაჰისთვის უფრო საყვარელი იყოს, ვიდრე ეს ათი დღე (ზულ-ჰიჯჯას ათი დღე). მოციქულს ჰკითხეს: ო ალლაჰის შუამავალო, არც ჯიჰადი ალლაჰის გზაზე? მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «არც ჯიჰადი ალლაჰის გზაზე, გარდა იმ კაცისა, რომელიც წავიდა ჯიჰადში თავისი სიცოცხლითა და ქონებით და უკან არ დაბრუნდა არაფრით».[1]

[1] გადმოცემულია ალ-ბუხარისა და თ-თირმიზის მიერ, და სიტყვები ეკუთვნის ათ-თირმიზის.

ზულ-ჰიჯჯას ათ დღის კეთილი საქმეები:

ჰაჯისა და უმრას შესრულება, ეს ორი საქმე ზულ-ჰიჯჯას ათი დღის განმავლობაში საუკეთესო საქმეებს შორისაა, რადგან მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«مَن حَجَّ هَذَا الْبَيْتِ فَلَمْ يَرْفُثْ وَلَمْ يَفْسُقْ رَجَعَ كَيَوْمِ وَلَدَتْهُ أُمُّهُ».

«ვინც შეასრულა ჰაჯობა ამ ქააბაში, არ ჩაიდინა არანაირი უზნეობა და ცოდვა, დაბრუნდება ისეთივე [სუფთა ცოდვებისგან], როგორიც იყო იმ დღეს, როდესაც თავისმა დედამ შვა». მუსლიმის გადმოცემით:

«مَن أَتَى هَذَا الْبَيْتِ فَلَمْ يَرْفُثْ وَلَمْ يَفْسُقْ؛ رَجَعَ كَيَوْمٍ وَلَدَتْهُ أُمُّهُ».

«ვინც შეასრულა ჰაჯობა ამ ქააბაში, არ ჩაიდინა არანაირი უზნეობა და ცოდვა, დაბრუნდება ისეთივე [სუფთა ცოდვებისგან], როგორიც იყო იმ დღეს, როდესაც თავისმა დედამ შვა».[1] მოციქულის სიტყვები: «ვინც მოვა ამ სახლში (ქააბაში)» -

მოიცავს თავის მნიშვნელობით ჰაჯსაც და უმრასაც, ქება

[1] გადმოსცა ალ-ბუხარიმ და მუსლიმმა.

ეკუთვნის ალლაჰს ამ დიდებული საქმისთვის. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), ასევე თქვა:

«الْعُمْرَةُ إِلَى الْعُمْرَةِ كَفَّارَةٌ لِمَا بَيْنَهُمَا، وَالْحَجُّ الْمَبْرُورُ لَيْسَ لَهُ جَزَاءٌ إِلَّا الْجَنَّةُ».

«უმრიდან უმრამდე გამოსასყიდია მათ შორის არსებულის, ღვთისმოშიშობით შესრულებული ჰაჯობის საფასური კი მხოლოდ სამოთხეა».[1]

ზულ-ჰიჯჯას პირველი ცხრა დღის მარხვა ან რამდენიც შეძლებს მათგან, მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვებით:

«مَا مِنْ أَيَّامٍ الْعَمَلُ الصَّالِحُ فِيهِنَّ أَحَبُّ إِلَى اللهِ مِنْ هَذِهِ الْأَيَّامِ الْعَشْرِ»

«არ არსებობს დღეები, როცა კეთილი საქმე ალლაჰისთვის უფრო საყვარელი იყოს, ვიდრე ეს ათი დღე (ზულ-ჰიჯჯას)». მარხვა კეთილ საქმეებს შორის ერთ-ერთი უდიდესია.

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წაახალისა მარხვისკენ და მოუწოდა მას, და მათ შორის არის მისი სიტყვები (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

---

[1] გადმოსცა ალ-ბუხარიმ და მუსლიმმა.

«مَا مِنْ عَبْدٍ يَصُومُ يَوْمًا فِي سَبِيلِ اللهِ إِلَّا بَاعَدَ اللهُ بِذَلِكَ الْيَوْمِ وَجْهَهُ عَنِ النَّارِ سَبْعِينَ خَرِيفًا».

«ვინც იმარხებს ერთ დღეს ალლაჰის გზაზე, ალლაჰი დააშორებს მის სახეს ცეცხლისგან სამოცდაათ წელს»[1].

ყურბანის შეწირვა დადგენილია 'იდ ალ-ადჰას დღესა და თაშრიყის დღეებში, და მტკიცედ არის გადმოცემული მოციქულიდან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

«ضَحَّى بِكَبْشَيْنِ أَمْلَحَيْنِ، أَقْرَنَيْنِ، ذَبَحَهُمَا بِيَدِهِ، وَسَمَّى وَكَبَّرَ وَوَضَعَ رِجْلَهُ عَلَى صِفَاحِهِمَا».

«შესწირა ორი თეთრი, რქიანი ყოჩი, დაკლა ისინი საკუთარი ხელით, წარმოთქვა ალლაჰის სახელი და თაქბირი,

და დაადო თავისი ფეხი მათ კისერზე»[2].

აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადამოცემულია, რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

---

[1] გადმოსცა ალ-ბუხარიმ და მუსლიმმა.

[2] გადმოსცა ალ-ბუხარიმ და მუსლიმმა.

«مَا عَمِلَ ابْنُ آدَمَ مِنْ عَمَلٍ يَوْمَ النَّحْرِ أَحَبُّ إِلَى اللهِ مِنْ إِهْرَاقِ الدَّمِ، وَإِنَّهُ لَيُؤْتَى يَوْمَ الْقِيَامَةِ بِقُرُونِهَا وَأَشْعَارِهَا وَأَظْلافِهَا، وَإِنَّ الدَّمَ لَيَقَعُ مِنَ اللهِ بِمَكَانٍ قَبْلَ أَنْ يَقَعَ فِي الْأَرْضِ، فَطَيِّبُوا بِهَا نَفْسًا».

«ადამის შვილს არ აქვს საქმე, რომელიც ყურბნის დღეს ალლაჰისთვის უფრო საყვარელია, ვიდრე სისხლის დაღვრა (მსხვერპლშეწირვა). მართალია, მსხვერპლი აღდგება განკითხვის დღეს თავისი რქებით, ბალნითა და ჩლიქებით.

და ნამდვილად, მისი სისხლი ალლაჰთან აღწევს მაღალ ადგილზე მანამ, სანამ დაეცემა მიწაზე. მაშ, სიხარულით და მშვიდად მიუძღვენით ის ალლაჰს»[1].

როცა დადგება ზულ-ჰიჯჯას ათი დღე, ვისაც სურს ყურბნის შეწირვა, უნდა შეიკავოს თავი თმისა და ფრჩხილების შეჭრისგან, უმმ სალამას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰადისის მიხედვით, სადაც გადმოცემულია, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

[1] გადმოსცა ათ-თირმიზიმ.

«إِذَا رَأَيْتُمْ هِلَالَ ذِي الْحِجَّةِ وَأَرَادَ أَحَدُكُمْ أَنْ يُضَحِّيَ؛ فَلْيُمْسِكْ عَنْ شَعْرِهِ وَأَظْفَارِهِ».

«როცა ზულ-ჰიჯჯას ახალ მთვარეს დაინახავთ და რომელიმე თქვენგანს სურს ყურბნის შეწირვა, მაშინ თავი შეიკავოს თმისა და ფრჩხილების შეჭრისგან». სხვა გადმოცემით:

«... فَلَا يَأْخُذَنَّ مِنْ شَعْرِهِ وَلَا مِنْ أَظْفَارِهِ شَيْئًا حَتَّى يُضَحِّيَ».

«მაშ ნუ შეიჭრას არაფერი თავისი თმიდან და არც ფრჩხილებიდან, სანამ არ შეწირავს ყურბანს»[1].

თაქბირის, თაჰლილისა და ზიქრის თქმა ამ ათ დღესა და თაშრიყის დღეებში აბდულლაჰ იბნ ‘უმარის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰადისის მიხედვით, სადაც გადმოცემულია, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«مَا مِنْ أَيَّامٍ أَعْظَمَ عِندَ اللهِ وَلَا أَحَبُّ إِلَيْهِ مِنَ الْعَمَلِ فِيهِنَّ مِنْ هَذِهِ الْأَيَّامِ الْعَشَرِ، فَأَكْثِرُوا فِيهِنَّ: مِنَ التَّهْلِيلِ، وَالتَّكْبِيرِ، وَالتَّحْمِيدِ».

«არ არსებობს დღეები, რომლებიც ალლაჰთან დიდებულებითა და საყვარელი საქმეებით

[1] გადმოსცა მუსლიმმა

აღემატება ამ ათ დღეს (ზულ-ჰიჯჯას ათ დღეს), ამრიგად გაამრავლეთ ამ დღეებში: ლა ილაჰა ილლალლაჰ, ალლაჰუ აქბარ და ალჰამდულილლაჰ»[1]

თაქბირი იყოფა ორ ნაწილად, შემდეგნაირად:

პირველ ნაწილში: უწყვეტი თაქბირი ეს არის თაქბირი, რომელიც არ შემოიფარგლება ლოცვების შემდეგ წამოძახებით, არამედ განეკუთვნება ყველა დროს და მდგომარეობას.

უწყვეტი თაქბირი იწყება ღესასწაულის წინ, ანუ ზულ-ჰიჯჯას ათი დღის პირველივე დღიდან და გრძელდება ბოლო თაშრიყის დღემდე. ყველა დროსა და ადგილას, იქნება ეს დღე თუ ღამე, გზა, ბაზარი, მეჩეთი, სახლი ან სადაც შეიძლება ალლაჰის ხსენება.

თაქბირის მეორე სახეობა არის შეზღუდული თაქბირი, რომელიც კეთდება ლოცვის შემდეგ, მხოლოდ ყურბნის დღესასწაულთან დაკავშირებით.

პირველ რიგში: განსაზღვრული თაქბირი

[1] გადმოსცა აჰმადმა

იწყება არაფა დღის ფაჯრის ლოცვის შემდეგ და მთავრდება თაშრიყის მესამე დღის ასრის ლოცვის შემდეგ. ეს წესი ეხება მათ, ვინც ჰაჯობაზე არ იმყოფება. რაც შეეხება ჰაჯს, მისთვის განსაზღვრული თაქბირი იწყება მსხვერპლშეწირვის დღიდან ზუჰრის ლოცვის შემდეგ.

მეორე: თაქბირების ფორმა: (ალლაჰი უდიდესია, ალლაჰი უდიდესია, არ არის სხვა ღმერთი ალლაჰის გარდა, და ალლაჰი უდიდესია, ალლაჰი უდიდესია, და ალლაჰს ეკუთვნის ქება) / ალლაჰუ აქბარ, ალლაჰუ აქბარ, ლა ილააჰა ილლაალლაჰ, ვალლაჰუ აქბარ, ალლაჰუ აქბარ, ვალილლაჰილ-ჰამდ[1].

ჰაჯის გარდა მორწმუნეებმა უნდა იზრუნონ ‘იდ ალ-ადჰას ლოცვის შესრულებაზე, დილიდანვე უნდა იჩქარონ მეჩეთისკენ, მოისმინონ ქადაგება, რადგან ეს ლოცვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისლამური

[1] იხილეთ: ალ-მუღნი იბნ ყუდამასგან (ტომი 3, გვ. 290), და ალ-შარჰ ალ-ქაბირ, ალ-მუყნი' და ალ-ინსააფ (ტომი 5, გვ. 380).

რიტუალია. მისი მნიშვნელობის გამო, მასზე წასვლა დაევალათ ქალებსაც კი მათ შორის ქალიშვილებსა და მენსტრუალურ მდგომარეობაში მყოფებსაც. ამის შესახებ ამბობს უმმუ ‘ატია (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი):

«كُنَّا نُؤْمَرُ أَنْ نَخْرُجَ يَوْمَ الْعِيدِ حَتَّى نُخْرِجَ الْبِكْرَ مِنْ خِدْرِهَا، حَتَّى نُخْرِجَ الْحُيَّضَ فَيَكُنَّ خَلْفَ النَّاسِ، فَيُكَبِّرْنَ بِتَكْبِيرِهِمْ، وَيَدْعُونَ بِدَعَائِهِمْ، وَيَرْجُونَ بَرَكَةَ ذَلِكَ الْيَوْمِ وَطَهَارَتِهِ».

«გვეძლეოდა ბრძანება, რომ გამოვსულიყავით დღესასწაულის დღეს ისე, რომ ახალგაზრდაც კი გამოგვეყვანა თავისი საძინებლიდან, ასევე მენსტრუაციულ მდგომარეობაში მყოფნი, და ისინი იქნებოდნენ ხალხის უკან, და აღავლენდნენ თაქბირს ხალხთან ერთად, მოუხმობდნენ ისე, როგორც ისინი მოუხმობენ, და იმედოვნებდნენ იმ დღის ბარაქასა და სიწმინდეს». სხვა გადმოცემით:

«وَأَمَرَ الْحُيَّضَ أَنْ يَعْتَزِلْنَ مُصَلَّىٰ الْمُسْلِمِينَ».

«და უბრძანა მენსტრუაციაში მყოფ ქალებს, რომ გაშორდნენ მუსლიმთა სალოცავ ადგილს»[1].

[1] გადმოსცა ალ-ბუხარიმ და მუსლიმმა.

ბევრი კეთილი საქმეების აღსრულება, როგორიცაა ნებაყოფლობითი თაყვანისცემები: ნებაყოფლობითი ლოცვები, სადაყა, ყურანის კითხვა, სიკეთის ბრძანება და ბოროტების აკრძალვა, მეზობლების მიმართ სიკეთე, ნათესავებთან კავშირის შენარჩუნება და სხვა ამგვარი კეთილი საქმეები. შაუმავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვებით:

«مَا مِنْ أَيَّامٍ الْعَمَلُ الصَّالِحُ فِيهِنَّ أَحَبُّ إِلَى اللهِ مِنْ هَذِهِ الْأَيَّامِ الْعَشَرِ»، قَالُوا: يَا رَسُولَ اللهِ! وَلا الْجِهَادُ فِي سَبِيلِ اللهِ؟ فَقَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ : «وَلا الْجِهَادُ فِي سَبِيلِ اللهِ، إِلَّا رَجُلٌ خَرَجَ بِنَفْسِهِ وَمَالِهِ فَلَمْ يَرْجِعْ مِنْ ذَلِكَ بِشَيْءٍ».

«არ არსებობს დღეები, რომლებშიც კეთილი საქმე ალლაჰისთვის უფრო საყვარელი იყოს, ვიდრე ეს ათი დღე (ზულ-ჰიჯჯას ათი დღე). მოციქულს ჰკითხეს: ო ალლაჰის შუამავალო, არც ჯიჰადი ალლაჰის გზაზე? მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «არც ჯიჰადი ალლაჰის გზაზე, გარდა იმ კაცისა, რომელიც წავიდა ჯიჰადში თავისი სიცოცხლითა და ქონებით და უკან არ

დაბრუნდა არაფრით».[1]

ალლაჰს ვთხოვთ, რომ გვასარგებლოს იმით, რაც გვასწავლა,

და გვასწავლოს ის, რაც გვარგებს, ის არის გულუხვი და ღირსეული, ალლაჰის მშვიდობა და ლოცვა იყოს ჩვენს მოციქულ მუჰამმადზე, მის ოჯახზე და მის საჰაბებზე უხვი და მრავალი დალოცვით.

❋❋❋

[1] გადმოცემულია ალ-ბუხარისა და ათ-თირმიზის მიერ.

Index

ზულ-ჰიჯჯას ათი დღის სიკეთე.....2
შესავალი.....2
ზულ- ჰიჯჯას ათი დღის სიკეთეები:.....3
ზულ-ჰიჯჯას ათ დღის კეთილი საქმეები: 5

❋❋❋

رئاسة الشؤون الدينية
بالمسجد الحرام والمسجد النبوي

رسالة الحرمين

ორი წმინდა მეჩეთის წერილი

სასწავლო კონტენტი სხვადასხვა ენებზე მეჩეთ ალ ჰარამის და შუამავლის წმინდა მეჩეთის მნახველებისთვის